საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთვარის კულტი

მთვარის კულტი, წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ღვთაება. მთვარის, როგორც ღვთაებისადმი, თაყვანისცემა მნათობთა თაყვანისცემის შემადგენელი ნაწილია. იგი ფართოდ იყო გავრცელებული უძველეს ხალხთა შორის (ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, ხეთები და სხვ.) და მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართ. რწმენა–წარმოდგენებში. ქრისტიანობამდელ ქართველთა მთავარ ღვთაებას _ არმაზს (ხეთურ-მცირეაზიული ღვთაება არმა) მთვარეს უკავშირებენ (იხ. არმაზი). წმ. გიორგის კულტი, რ-იც საკმაოდ გავრცელებული და პოპულარულია საქართველოში, სწორედ მთვარის წარმართულ ღვთაებას შეერწყა და მისი ადგილი დაიკავა. ქართ. წარმართობაში მ.კ-ის მნიშვნელობის შესახებ ცნობებს გვაწვდის ძვ. ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი, რ-იც საკმაოდ დეტალურად აღწერს მ. კ-დმი მიძღვნილ რიტუალს. ივ. ჯავახიშვილი "საოცარ მსგავსებას" ხედავს სტრაბონისეულ აღწერასა და XIX ს. შემდეგ დროინდელ რიტუალებს შორის, რ-იც საქართვ. სხვადასხვა კუთხეში წმ. გიორგის სახელზე იმართებოდა. ამის მაგალითად მოჰყავს თეთრგიორგობა (სოფ. აწყური, კახეთი), არბოობა-გერისთაობა და ატოცობა (შიდა ქართლი), ნაციხურობა (სოფ. სორი, რაჭა), რ-თა რიტუალი ძირითადი ნიშნებით მსგავსია - სალოცავის გარშემო სამ ან შვიდგზის შემოვლა და ბამბის ძაფების შემოვლება, შესაწირი ცხოველის დაკვლა, ტაძრის გარშემო რკინის მძიმე ჯაჭვებით სიარული, რ-საც ძირითადად უშვილო და გასათხოვარი ქალები ასრულებდნენ, მთხოვნელთა მიერ თეთრი ტანსაცმლის ტარება და ა. შ. ამასთანავე, ყველა ეს დღესასწაული მთვარის გარკვეულ ფაზებთან იყო დაკავშირებული. ქართული წარმართული კალენდრით, ორშაბათი მთვარის დღე იყო. ეს კარგად ჩანს ამ დღის მეგრულ და სვანურ სახელწოდებაში (თუთაშხა, დოშდიშ). მაშასადამე ძველად ქართველების უქმე დღე ორშაბათი უნდა ყოფილიყო (კვირადღეს უქმობა ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ დაწესდა). დიდმარხვაში სამეგრელოში ახალი მთვარის ორშაბათს -"ახალ ორშაბათს" ფუძის სალოცავის რიტუალს ასრულებდნენ.

ქართ. ხალხ. წარმოდგენით, მთვარე მამრობითი ღვთაებაა, მამაკაცია, მაშინ როდესაც სხვა ძველი ხალხები - ეგვიპტელები, ებრაელები, ბერძნები, რომაელები, არაბები, ფინიკიელები - მთვარეს მდედრობითი სქესის ღვთაებად მიიჩნევდნენ. ეს ფაქტი კარგად ჩანს უძველეს ქართ. ფოლკლორშიც. ხალხურ ლექსში ნათქვამია: "მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, მოციმციმე ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი." მზე რომ ქალია, ქალთა საკუთარი სახელებითაც მტკიცდება: მზია, მზექალა, გულთამზე, მზევინარი და სხვ. საყურადღებოა, რომ პონტოსა და ფრიგიაში, სადაც ქართველური ტომები ცხოვრობდნენ, სტრაბონის მთვარის თაყვანისცემა იყო გავრცელებული. ყოველივე ამის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ "სადაც ქართველებს უცხოვრიათ, ყველგან მთვარის თაყვანისცემის კვალია შერჩენილი, ამის გამო მთვარის - მეუფისა და ღვთაების - თაყვანისცემა ყველა ქართველი ტომის უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს".

ლიტ.: ა ბ ა კ ე ლ ი ა ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; კ ო პ ა ლ ე ი შ ვ ი ლ ი ვ., მითებიდან კალენდრებამდე, თბ., 1991; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ., 1979, (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1).

ზ. ეკალაძე